სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/143

ქ. თბილისი

29 სექტემბერი 2021 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 29 იანვრის №46 სხდომის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბექა მაისურაძის 2021 წლის 28 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 სექტემბრის №01-05-02/27 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბექა მაისურაძის მიერ წარმოდგენილი უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილების პროექტი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის 29 იანვრის #46 სხდომის #1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

2. პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) საკითხის გატანა დაევალოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს, ბექა მაისურაძეს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**